



№ 42

25 ქრისტოზობ. 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ვიური და სალიტერატურო შუიხალი

რედაქცია ღიაა 10-1 საათ.

წელიწადი მერვა

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე მ ი:

1. შეთაერი. 2. ხიზანთა საქმე ჰეტერბურგში. — ან-ფარისა. 3. წერილი კრედიტის ამ-სხანგება კასეთში. — გ. წინამძღვარი შვილისა. 4. სამავე სჯობისა. — რიშბაბასი.
5. ზატარა შენიშვნა. თავისუფალი მეთვალყურესი. 6. ქეთა. — მოთხ. გ. ნამო-რადისა. 7. ესთეტიური კულტურა. — ახალმოსულისა. 8. თქმულება ზაკენფელდზედ გერმანიაში. — თარგ. ირ. სონლულაშვილისა. 9. სამადროფო კარაბადინი. — ფირუზასი.

იბეჭდება და იანვრის პირველ რიცხვებში დაურიგდება ხელის მომწერთ წარსული წლის პრემია „კლდის“ რედაქციისაგან: ცნობილი პუბლიცისტის ალ. ფრონელის „მონოგრაფია: „მთის არწივი უბაილი“. მომავალი წლის პრემია დაურიგდებათ ხელის მომწერთ 1914 წლ. მაისში.

ქიქია

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო შუიხალ

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

თბილისი 25 ქრისტიანობისთვის

ამ ცხრამეტი საუკუნის წინ იშვა ძე ღვთისა და ქვეყნად მოიტანა სიმაართლე, ქვეშარიტება, სიყვარული და მაშვრალთა სიხარული. ქრისტეს დიადმა მცნებამ დასძალა და ზე-აღტყინებულმა სულმა გაიმარჯვა სხეულზედ, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ ძველნი. ცოტა კიდევ, და ქვეყნად გამეფდა ქრისტიანობა. და აი დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი უქმობს იესო ქრისტეს დაბადებას, მთელი მოწინავე კაცობრიობა დღესასწაულობს ამ დღეს. მაგრამ სწორედ ამ სიმშვიდისა და წყნარის სიხარულის დღესასწაულზედ რაღაც დამცინავად უნდა გაისმას მოწოდება სიყვარულისადმი, მოწოდება დიადი სიმაართლისა, რომელსაც უნდა გარდაექმნა კაცობრიობა.

ჩვენი დღეების სიმაართლე—ეს სიმაართლეა საზიზღარ სიმხეცისა, რომელიც აიძულეს ადამიანის გულს უძღურ შფოთვით ღონდებოდეს, ეს სიმაართლეა ადამიანში გაღვიძებული მხეცისა, უმაღლესი ტრიუმფი სისასტიკისა, რომელიც კანონად არის მიღებული, და პირფერობისა, რომელიც ხელს აფარებს ამ სისასტიკეს. და ჩვენი დღეების სიმაართლეს, სინამდვილეს არა აქვს არავითარი საერთო იესოს მცნების სიმაართლე-სიყვარულთან, მან დიდი ხანია ზურგი უბრუნა საკაცობრიო იდეალებსა და სულისა სწრაფვას. არსებულს სინამდვილეს არ უნდა ადგილი დაუთმოს მომავალს. და სანამ ძალა მის ხელშია, სცდილობს ცამდის აიყვანოს თავისი ბაძილონის გოდოლი. მაგრამ ცხოვრების სრბოლა თავისას სჩადის, ნელ-ნელა საძირკველს უთხრის მას და თანდათან ეცლება მის კედლებს ის მორალური დუღაბი, რომელიც მათ იჭერს.

მივიწყებული ქვეშარიტება-სიმაართლე თავს მალა იღებს.

აგერ ეს მეოცე საუკუნეა, რაც კაცობრიობა თავისუფლების მომხიბლავი იდეის ტრფობით სცხოვრობს. და თვით ამ იდეის ამოდენა ხნის სიცოცხლე საუკეთესო მაჩვენებელია მისი ძალ-მექონეობისა. აღდგომის განთიადსავით მიეგება კაცობრიობა პირველს უმანკო ოცნებას საზოგადო იდეალების შესახებ და ვითარცა უძვირფასესი რამ გულს ჩასვენებული ატარა იგი დროთა მწუხრში, რათა გადაექცია საზოგადო მოძრაობის ძლიერ აზარმაცად. და აი ეხლა ეს ძვირფასი საუნჯე აღმოსავლეთისა თვალმომჭრელი ელვარებით აბრწყინებს საკაცობრიო ქვეშარიტებას.

„Vivos voco, mortuos plango“,—გაისმა ამ ორი წლის წინად ბაზელის ძველი ტაძრის კედლებში შობა ღამეს. „ჩვენ მოვუწოდებთ ცოცხლებს ცხოვრების მოწვესრიგების დიად საქმეზედ, ჩვენ ვიგლოვთ მიცვალებულთ, რომლებიც საკაცობრიო უსამართლობის მსხვერპლად შექმნილანო.“ და ამ სიტყვებს მხიარულად ბანს აძღვედნენ ძველი ტაძრის ზარები...

დიაღ, ეხლა სევდიანად გაისმის ზარის ხმა სიმაართლისა და წყნარის სიხარულის დღესასწაულზედ... მაგრამ მოვა დღე, და ძველი ეკლესიის ჰანგებს აიღებენ ეს ზარებიც, და ამცნებენ მათ მთელს კულტურულს ქვეყნიერებას. და მაშინ ერთს მხიარულ სიმფონიად გაისმის ყველგან: Vivos voco!

სიზანთა საქმე პეტერბურგში

(წერილი პირველი).

ნოემბრის უკანასკნელი დღენი და დასაწყისი დეკემბრისა „კავკასიის კვირიაკედ“ უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ ხანში სახელმწიფო სათათბირო იხილავდა ფრიად საყურადღებო საქმეებს შესახებ ჩვენის ქვეყნისა. ერთი ამ საქმეთაგანია ლიკვიდაცია სახიზნო ურთიერთობისა. ამ საქმით დაინტერესებულია მარტოოდენ ქართველი ერი და სხვა არაფერი.

მეორე საქმე შეეხება მთელს ამიერ კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის სახაზინო გლეხკაცობას. სათათბიროში წარდგენილ კანონ-პროექტს აზრად, აქვს საფუძვლიანად და მტკიცედ მოაწყოს ბედი იმ სახელმწიფო გლეხისა, რომელიც ბინადრობს ეგრედ წოდებულ სახაზინო მიწაზე, ამ საქმით დაინტერესებულია როგორც ქართველი ერი, აგრედვე თათრები, სომხები, ჩრდილოელი ოსები და სხვანი.

მესამე კანონ-პროექტი ისაა, რომელსაც მიზნად აქვს წესიერად ასწეროს და აღწესოს რაოდენობა იმ მამულისა, რომელსაც ადევს გადასახადი საერობო საკურობათა დასაკმაყოფილებლად და თვით სახელმწიფოს სასარგებლოდ (სახელმწიფო საადგილმამულო და საერობო გადასახადნი). ამას გარდა ამ კანონის შემწეობით უნდათ სინამდვილით გამოიანგარიშონ—თუ რა შემოსავალი აქვს გაბეგრის მამულს. ნავარაუდევია დაიხარჯოს მამულის ასანუსხად და მის შემოსავლის გამოსარკვევად სულ სამი მილიონი მანათი, აქედან ხაზინა იხდის 1.200,000 მანათს, ხოლო ჩვენ, ხარჯის გამღებნი—1.800,000 მან.

მკითხველი ადვილად გაითვალისწინებს, თუ რა ღირსშესანიშნავი საქმენი ირჩეოდა პეტერბურგში, იმპერიის ამ განაპირა კუთხეში, რომელიც ჩვენი სამშობლოდან თითქმის 4,000 ვერსის მანძილზე ძევს.

კავკასიის მთავრობამ ამ სამ კანონ-პროექტის დასაცავად და საკურობის მიხედვით განმარტების მისაცემად გამოგზავნა პეტერბურგს თვისი მოხელენი: მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ნ. თ. ჯუნკოვსკი და კ. ვ. შაშკოვსკი (უკანასკნელი სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულია კავკასიაში) და ა. სტრელბიცი. ამათ გარდა დასახელებულ კანონ-პროექტებს პატრონობას უწევს სე-

ნატორი ნიკოლსკი, წარმომადგენელი მეფის მოადგილისა. იგი მის მაგიერობას ასრულებს მთავრობის ყველა დაწესებულებაში. ამ ოთხს მოხელეს წინაშე ყველა კარი მთავრობის დაწესებულებათა ფართოდაა ღია. ღიაა აგრედვე მათთვის სახელმწიფო სათათბიროს კარი და მისის მრავალთაგან მრავლის კომისიებისა და პოდკომისიებისა. იგინი დაუბრკოლებლივ და თავისუფლად ესწრებიან კრებებს და თამამად იცავენ ტფილისში დაწერილ კანონებს. წესადაა მიღებული, რომ სათათბიროს კომისიაში მთავრობის წარმომადგენლობა შეუძლიან მხოლოდ მეხუთე კლასის მოხელეს. ბ. ნ. ა. სტრელბიციის პეტერბურგში წასვლამდე ეს ხარისხი არა ჰქონდა და ad hoc მიანიჭეს ეს ხარისხი, რომ საუშალება მიეცათ მისთვის სათათბიროს კომისიაში დაეცვა ხიზანთა ურთიერთობის მოსპობის კანონ-პროექტი.

ასე მძლავრად არის შეიარაღებული მთავრობა, როდესაც იგი იცავს თვის მიერ შედგენილ კანონ-პროექტს. სულ სხვაა დაინტერესებულ კაცის, ან საზოგადოების და წოდების მდგომარეობა. არც სათათბიროში, არც მის კომისიების და პოდკომისიების კრებებზე საქმით დაინტერესებული კაცი და საზოგადოების, ან წოდების ვეკილი ვერ დაესწრება და მონაწილეობას ვერ მიიღებს საკანონმდებლო მუშაობაში. ერთად-ერთი ხსნა ისაა, რომ გყავდეს სათათბიროში და საბჭოში მომხრე დებუტატი, რომელსაც შენთვის და ქვეყნისათვის ნამდვილად გული შესტკიოდეს. თუ ასეთი დებუტატი არა გყავს, მორჩა და გათავდა. რაც უნდა უსამართლოდ სწყდებოდეს შენი ბედი, რაც უნდა ცამდის მართალი იყვი, საქმეს ვერ გამოატრიელებ. იგი ისე გადაწყდება, როგორც მთავრობასა ჰსურს. ერთს სიტყვით დაგემართება ისა, რაც დაემართა საცოდავს კურდღელს—დაგჭედამენ, და, მოდი და მერე, უმტკიცე ქვეყანას, აქლემი კი არა კურდღელი ვარო.

„კავკასიის კვირიაკემ“, ნათლად დაგვანახვა, თუ რა უბედურობას და სიდუხჭირეს წარმოადგენს ის უაღრესი ცენტრალიზმი, რომელზედაც აშენებულია დღევანდელი ჩვენი სახელმწიფო წესწყობილება. მივირს და გამკვირვებია, როგორ იცავენ ამ ქვეყნისა და ერის დამღუპველ სისტემას ჩვენებური დასელები. თუ მრავალი მათგანი უსუსური და უსწავლეელია, აი, ვსთქვათ, თუნდ ნადებუტატარი კაციაშვილი, კანდელაკი და სხვა, ზოგი ხომ ნასწავლი და განვითარებული იყო, მაგალითად აკ-

წერთელი! ამას რაღა დაემართა? რამ დაუბნელა გონება ამ ენა-მახვილს ჭაბუკს?

მაგრამ ამ სამწუხარო მოვლენაზე საუბარი არ შეადგენს დღევანდელი წერილის საგანს. ამ ხანად ჩვენა გვსურს მოკლედ მოგახსენოთ, თუ რა ბედი ეწვია პეტერბურგში ხიზანთა ურთიერთობის მოსპობას, ანუ ლიკვიდაციის კანონ-პროექტს.

ყველას მოეხსენება ამ კანონ-პროექტის მცირე ისტორია მაინც. არსებული სახიზნო კანონი (3 ივნ. 1891 წ. და 5 ივნ. 1900 წ.) გახლავთ სალიკვიდაციო კანონი, ესე იგი კანონი იმისა, თუ როგორ უნდა მოსპონ ურთიერთ შორის საადგილ-მამულო განწყობილება მამულის პატრონმა და ხიზანმა. უფლება და მოვალეობანი ორივე მხარისა გამოორკვეულია არსებული კანონით. სადავო მათ შორის, გამოსაძიებელი და გამოსაჩხრეკი სრულიად აღარაფერია.

სახიზნო კანონის ძალით მამული სრული საკუთრებაა მემამულისა, სულ ერთია ვინც უნდა იყვეს იგი: თავადი, აზნაური, ეკლესია, ხაზინა, მოხელე, მღვდელი, მოქალაქე, სახასო კაცი, თუ დროებით-ვალდებული. ნუ გაგიკვირდებათ, რომ დროებით ვალდებულსა და სახასო კაცსაც ჰყავს ჩვენში ხიზანი. ხიზანს-კი ეკუთვნის სრულ საკუთრებად სახლ-კარი, საოჯახო შენობანი და ნაყოფი მისის ნაშრომ-ნაღვაწისა, ესე იგი ვენახი და ბაღი. თუნდ სახლ-კარი მემამულის მასალისაგან იყოს აგებული, მაინც იგი ხიზნის საკუთრებაა. როდესაც ნებაყოფლობით მოისურვებენ მემამულე და ხიზანი ურთიერთობის მოსპობას, დამშლელი არავინა ჰყავთ. უკეთუ მამულის პატრონი ძალით დაითხოვს ხიზანს, უნდა გადაუხადოს სრული ფასი ხიზნის საკუთრებისა. თუ ხიზანი თვისის სურვილით წავა, საკუთრებაზე ხელი უნდა აილოს. აი არსებითად შინაარსი ამ სალიკვიდაციო კანონისა. ამ წესით ხიზნობა ვერ მოისპო უბრალო მიზეზის გამო — მამულის პატრონს თავი არა ჰქონდა გამოესყიდა ხიზნის საკუთრება. მეორე კიდევ ისაა, რომ ჩვენებურ ხიზანს ადგილობრივი მთავრობა ხელს არ უწყობდა და მამულს არ ანიჭებდა. უკანასკნელ ჟამამდე ჩვენს ტერიტორიაზე ასახლებდა: ნემცებს, ბერძნებს, სომხებს, სექტანტებს და ახლა მართლ-მადიდებელ რუსებს. როცა სახასო მიწებს ვეღარ შოულობს საკმარისად, მაშინ საგლეხო ბანკის დახმარებით ჰყიდულობს კერძო მემამულეთაგან მიწებს და ასახლებს შიდა გუბერნიებიდან მოსულ მართლ-მადიდებელ რუსებს. ასეთს გარემოებაში, ცხადზედ

უცხადესია, რომ ხიზანთა ურთიერთობის მოსპობა, ანუ ლიკვიდაცია არ მოხერხდებოდა.

მეფის მოადგილე თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებებში მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ გლეხ-კაცობა ჰღელავდა მცირე მამულიანობის გამოვო, რომ იგი ამ მხრივ მოუწყობელია და სარევილიუციო პროპაგანდამ მშვენიერი ნიადაგი იპოვნა ამ საადგილ-მამულო ანარქიაში. მაშასადამე გეგმა მომავლის მოქმედებისა მეფის მოადგილის აზრით გარკვეულია, ესე იგი გლეხ-კაცობა მკვიდრად უნდა მოეწყოს და საკუთრებად დაუმტკიცდეს ის მამული, რომელიც მას უჭირავს. რაკი მიზეზი მღელვარებისა გამოსძებნეს, მხნედ შეუდგა კავკასიის მთავრობა იმის განხორციელებას, რასაც რუსეთში ეძახიან მიწის-მოწყობას (რუსულად: землеустройством). ჩვენებური მიწის მოწყობა ცოტა არ იყვეს უცნაურია და ძლიერ ნაკლებადა ჰგავს ნამდვილ მიწის-მოწყობას, როდესაც გლეხის საკუთრება აღინათულია მემამულის და თვისისავე მეზობლების საკუთარ მამულებში, არ არის მოსპობილი სერვიტუტები, და მამული ისე მცირე აქვს გლეხს, რომ თავი კუდს ვერ მოიქნეს. ასეა თუ ისე, დღეს მანდაური მთავრობა თავის მოღვაწეობას მიწის-მოწყობად ჰნათლავს და ჩვენც იძულებულნი ვართ ეს ტერმინი ვიხმაროთ.

20 დეკემბრის 1912 წ. კანონით ვითომდა მოაწყვეს მამულის მფლობელობა დროებით-ვალდებულთა და იმ სახელმწიფო კაცთა რომელთაც გრამოტებით ეჭირათ აზნაურების, ბეგების, აღალარების და მელიქების ადგილ-მამული. ამ ჟამად შემუშავებულ კანონ-პროექტით მოაწყობენ ბედს იმ სახელმწიფო გლეხთა, რომელნიც სახლობენ სახასო მამულზე. ერევნისა, განჯისა და ტფილისის გუბერნიების სახელმწიფო კაცი ემორჩილებიან 1 მაისის 1900 წ. და 21 აპრ. 1903 წ. კანონებს. მაშასადამე რჩებოდა მოუწყობელი ერთად-ერთი ჯგუფი გლეხ-კაცობისა რომელსაც ეწოდება ხიზანი.

არსებული კანონის ძალით მათი მიწის-მოწყობა იძულებით, მოუხერხებელი გახდა, რადგან ძირითადი კანონი სასტიკად უკრძალავს იძულებით მამულის წართმევას. საკუთრების პრინციპის შეზღავანა უდრის ნამდვილ რევილიუციას და აბა დღევანდელი მთავრობა ამას როგორ ჩაიდენს. თუ დღეს ქართველ თავად-აზნაურების საკუთრებას აუგებდნენ ანდერძს და მათს მამულს (საკუთრებას) ხიზნებს დაურიგებდნენ, ხვალ რუსის გლეხები ამ პრეცედენტის მიხედვით რუსის სხვილ მემამულეთა და თვით

მეფის მოადგილის საკუთარ მამულებს მოითხოვდნენ. რუსის გლეხს უფრო აქვს გაღვიძებული მადა სხვისა მამულის ჩაგდებისა ხელში, ვიდრე ქართველ გლეხსა. მაშინ სწორედ რომ აირეკოდა მონასტერი და ძალი პატრონს ველარ იცნობდა.

მაშ, რა გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ არც მწვალი დაეწვათ და არც შამფური. შეუდგნენ ისტორიულ გამოკვლევა-გამოძიებას და აღმოაჩინეს, რომ დღევანდელი ხიზნები ღვიძლი შვილები არიან იმ ისტორიულ ხიზნებისა, რომელნიც გაჩნდნენ საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაწყებულიო. საიდან სადა, სად წმინდა საბა, სად შაჰ აბასის მიერ დარბევა და წახდენა საქართველოსი 1605 წელს, სად ლეკების თარეშობა ქართლ-კახეთში და სად დღევანდელი ხიზნობა, მაგრამ საჭირო იყო „უფლების“ მოპოვება ხიზნებისთვის და იპოვნეს კიდევ. რა კი იპოვნეს ეს არ არსებული უფლება, ანალოგიაც აღვილად გაჩნდა. მთავრობამ ჩინშევიკების ბედი მამულის იძულებით მიცემის წესით მოაწყოვო. ჩინშევიკების სქემაზე აახსენს ხიზნების მიწის-მოწყობა და რაკი მემამულე სახიზნო ურთიერთობის მოსპობის დროს მარტო ღალა-კულუხს და ფულით ბეგარას ჰკარგავდა, დაადგინეს: ხიზნებს მიეცეს საკუთრებად სხვისა მამული, რაც უჭირავს, ხოლო მამულის პატრონს აენახლაუროს მამულის ღირებულობა კი არა, ის შემოსავალი, რომელსაც იგი ჰკარგავდა. საუწყებათა შორის შემდგარმა კომისიამ პეტერბურგში სენატორ ნიკოლსკის თავმჯდომარეობით ეს პრინციპი არ შეიწყნარა და იმ გზას დაადგა, რომ მამული უნდა შეისყიდოს ხიზანმა და არა გადასახადით. შესყიდვა მამულისა მაინც ორმაგი დაადგინეს. ვინც ფულად იხდიდა ღალას, იმას უნდა დაეხსნა მამული ფულად გადასახადის გამრავლებით 16 ²/₃ ჯერ (ესე იგი 6% კვალობაზე კაპიტალიზაციით), ხოლო ვინც ღალას იხდიდა მოსავლით, ის დაიხსნიდა მამულს ორპირ ფასში შედარებით დროებით ვალდებულ გლეხთან.

ამგვარად შედგენილი კანონ-პროექტი ბ-ნმა პ. სტრელბიციმ წარუდგინა მანდაურ იურიდიულ საზოგადოებას, რომელმაც ბეჭედი დაასვა სამართლიანობისა და გამოსთქვა ის აზრი, რომ კანონ-პროექტი შესაწყნარებელიაო.

პეტერბურგი.
4 დეკ. 1913 წ.

ან-ფარი.

წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირი კახეთში

თუ რამდენად სასარგებლოა საზოგადოდ კოოპერატიულ დაწესებულებათა და კერძოდ წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირი, პრინციპიალურად საკითხი ყველასათვის გადაწყვეტილი უნდა იყვეს, და როდესაც ვლაპარაკობთ კახეთის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირზედ, აქ მხოლოდ საკითხის ორ პრაქტიკულ მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: 1) რამდენად მომზადებულნი არიან ამხანაგობანი და რამდენად გრძნობენ კავშირის საჭიროებას; და 2) სად, ან რა რაიონის კავშირი უნდა მოეწყოს.

კახეთი, როგორც უწინააღმდეგო კულტურის კუთხე (ვაზი, თამბაქო, ბრინჯი და სხვა) და ქონებრივად კი დაქვეითებული, ძრვილ საჭიროებს კრედიტს და ისიც მუდმივ. ამითი აიხსნება, რომ სულ 2—3 წლის განმავლობაში საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი კახეთში 29-მდე ავიდა (რომლიდანაც თელავის მაზრაშია 9, სიღნაღის მაზრაში ცხრაშეტი და თიანეთის მაზრაში ერთი). ყოველი ცალკე ამხანაგობაც სისწრაფით ვითარდება, იზრდება: არიან ამხანაგობანი, რომელთა წევრთა რიცხვმა დიდი ხანია ჩნო გადააქარბა და რომელთა ბალანსი უდრის ორმოცდათი ათასამდინ მანათს (ველისციხე, თელავი, გურჯაანი და სხვა). ზოგიერთ ამხანაგობაში შესანახად შეტანილი ფული 3000—4000 მანათზედ კიდევ მეტია (თელავისა და გურჯაანისა). მაგალითად ველისციხის ამხანაგობის საკუთარი თანხა უკვე 7000 მანეთს აღემატება. ყველა ეს იმის მოწმეა, რომ კახეთში საკრედიტო ამხანაგობანი როგორც რიცხვით ისე საქმიანობით სისწრაფით იზრდებიან და საჭიროა მათი შეთანხმებული მუშაობა. მეტადრე რომ ამხანაგობათ ხშირად სრულიად მოუმზადებელი ხელხი უწყევს ხელმძღვანელობას რომელთაც წევრთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი არ შეუძლიანთ... და აკი ამითი აიხსნება, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ამხანაგობამ აღძრა წარმომადგენელთა თათბირის მოწყობის საკითხი კავშირის დასაარსებლად (თელავი, სიღნაღი, ველისციხე). თათბირი შესდგა კიდევ: პირველი ორი—ქ. სიღნაღში. მესამე პ. გიორგობისთვის—ქ. თელავში, ხოლო მეოთხე გურჯაანში 18 გიორგობისთვის, და ოთხივე თათბირზედ აღიარებულ-

ლი იყო კავშირის აუცილებელი საჭიროება. ბოლო კრებებზედ კომისიაც კი იყო არჩეული კავშირის დაარსების ნებართვის ასაღებად.

ამ წერილში განსაკუთრებული ყურადღება მიენდა მივაქციო საკითხის მეორე მხარეს ე. ი. კავშირის რაიონს.

ზოგიერთ ქართულ გაზეთებში (სასოფლო გაზეთი, კლდე, ხმა კახეთისა) რამდენჯერმე იყო გამოთქმული აზრი **სამაზრო** კავშირების მოწყობის მომხრე, და სიღნაღში შემდგარ წარმომადგენელთა კრებებიც სამაზრო კავშირს მიემხრნენ. კახეთში, ერთ-ერთი მაზრის ამხანაგობათა (ამ შემთხვევაში სიღნაღის მაზრის) ასეთი გარდაწყვეტილება აიხსნება სწორედ იმ პროვინციალურ პარტიოტიზმით, რომელზედაც დ. ვაჩნაძე უთითებდა თავის წერილში (კლდე № 38). ძნელი წარმოსადგენია რით ხელმძღვანელობენ სამაზრო კავშირის მომხრენი კახეთში, როდესაც მთელი კახეთი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს და გარდა ადმინისტრაციულ დაყოფისა ერთი მაზრა მეორისაგან არსებითად არაფრით განირჩევა. თუ სამეურნეო დარგის სხვადასხვაობას ვიტყვით, მაშინ იძულებულნი ვიქნებით კახეთში სამი კავშირი კი არ შევქმნათ (სიღნაღის, თელავის და თიანეთის) არამედ 10, 15, 20: მაგალითად სიღნაღის მაზრაში მევენახეობასაც მისდევენ, ხვნა თესვასაც, ბამბასაც, თამბაქოსაც, ბრინჯსაც და კიდევ სხვას, აგრედვე თელავის მაზრის, მეტადრე ჩრდილოეთით ხვნა თესვას უფრო მისდევენ, ვიდრე მევენახეობას.

კავშირს კი ამისთანა სხვადასხვაობა მეურნეობისა უფრო გააძლიერებს და გაანვითარებს, რადგან აქ შეიძლება განვითარდეს, როგორც ფულის გაცვლა-გამოცვლა სხვა და სხვა სეზონში, აგრედვე საშუაშაველო ოპერაციები: მაგ. როდესაც მეცხვარე მატყლსა და ცხვარსა ჰყიდის და არამცთუ გარეშე ფული არა სჭირდება, არამედ დროებით თვითონაც მოიძხო, მაშინ მევენახისთვის არის სესხი საჭირო და აქ შუაშაველად მოველინება კავშირი.

სხვაც არა იყოსრა, რანაირად უნდა განვითარდეს მაგ. თიანეთის მაზრის კავშირი (?) როდესაც იქ ეხლა ერთი ამხანაგობა (ანმეტისა) და ოთხზედ მეტი არც როდისმე იქმნება? ან რა იმდენი მომუშავე ხალხი ჩვენა გვყავს, რომ ერთ მუჟა ქვეყანაში სამი კავშირი მოქმედებს?.. ამიტომ კავშირი მხოლოდ ერთია შესაძლებელი — **მთელი კახეთისა**.

დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირის წესიერ განვითარებაში აგრედვე კავშირის რეზიდენციის არჩე-


ვას. ჩვენის აზრით კავშირი უნდა მოეწყოს არა თელავში, სიღნაღში ან სხვაგან, ვითომ იმიტომ რომ კავშირმა ხელი შეუწყოს ამა თუ იმ ქალაქის წარმატებას, როგორც ამბობს დ. ვაჩნაძე თავის წერილში, არამედ ისეთ ალაგას, რომელიც ხელს შეუწყობს თვით კავშირის და მოკავშირე ამხანაგობათა წარმატებას ე. ი. მთელი კახეთის და კერძოდ საკრედიტო ამხანაგობათა ცენტრში, და აი რატომ:

კახეთის საკრედიტო ამხანაგობებში ძლიერ ვითარდება და მალე ყველა დანარჩენ ოპერაციებს ერთი ორად გადააქარბებს საშუაშაველო ოპერაცია. ეს საშუაშაველო ოპერაციები მალე სავსებით დააკმაყოფილებენ — მეტადრე კავშირის საშუალებით — წევრის ყველა მოთხოვნილებას, როგორც ვენახში სახმარ წამალით, მასალა — იარაღით, ისე სხვა და სხვა სამეურნეო იარაღით ანუ ნაწარმოებით. ჯერ მარტო გოგირდ შაბიამანისათვის დესეტინა ვენახზედ საჭიროა 32 — 35 მან. და კახეთში კი 22 ათასი დესეტინა ვენახია ე. ი. 770,000 მანათისა და ამის მეოთხედიც რომ კავშირის საშუალებით მოდიოდეს, ადვილად წარმოსადგენია კავშირის ზრდა. ამისათვის კავშირმა პირველ ყოვლისა უმთავრესი ყურადღება უნდა მიექციოს საშუაშაველო ოპერაციებს და მოაწყოს სამეურნეო მასალა, ნაწარმოებ — იარაღის საწყობები. მათი მოწყობა კი შეიძლება სადმე ცენტრში, როგორც საკრედიტო ამხანაგობებისა, ისე რკინის თუ შარა გზებისა, რათა უფრო იაფი და ადვილი იქმნეს გადატან-გადმოტანა და გაცვლა-გამოცვლა წევრთა ნაწარმოებისა თუ სამეურნეო იარაღ-მასალისა. ასეთი ცენტრი კი კახეთში, მეტადრე რკინის გზის გახსნისას (რაც სხვათა შორის კავშირზედ ადრე იქნება), ერთად ერთია — **გურჯაანი** და თუ საზ. „კახეთის“ უმთავრესი საწყობი განზრახულია გურჯაანში, რასაც დ. ვაჩნაძე ამბობს თავის წერილში, ეს, მე ვფიქრობ, იმიტომ კი არა რომ საწყობმა ხელი შეუწყოს გურჯაანის აღორძინებას, არამედ იმიტომ რომ თვით საზ. „კახეთისთვის“ ეს საშუაშაველო იქნება. კავშირის რეზიდენციის არჩევაშიაც ჩვენ მარტო ერთი მოსაზრებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ — თუ რამდენად შეუწყობს ესა თუ ის ადგილი **თვით** კავშირის ნორმალურ პირობებში განვითარებას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ არც სამართლიანია კავშირი თელავში მოეწყოს, როდესაც სიღნაღის მაზრაში ამხანაგობათა რიცხვი ეხლა 19-ია ხოლო მალე 30-ამდის ავა, და თელავის მაზრა-

ში კი 12-ს არ აღემატება არც მომავალში (ეხლა ხომ 9 არის), სიღნაღის მაზრაში თვითოვლი ამხანაგობა სისწრაფით იზრდება წვერთა რიცხვით და

ოპერაციებით და კავშირის საქროება უფრო მეტად საგრძობია—რასაც ვერა ვხედავთ თელავის მაზრაში.



აქვე მოგვყავს სტეპეტიური რუკა იმ 25 ამხანაგობისა (4-ის შესახებ ცნობები არა გვაქვს) რომელნიც მოქმედებდნენ კახეთში წარსულ მარიამობისთვის, საიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ სად არის ცენტრი ამხანაგობათა და სად უნდა მოეწყოს კავშირი. უნდა აღვნიშნო აგრედვე, რომ მთელი ჯამი მანძილისა ყველა დანარჩენ ამხანაგობათაგან თელავამდის უდრის 1248 ვერსს. ხოლო გურჯაანამდის 669 ვერსს ე. ი. ერთი ორად ნაკლებს. მანძილის შემცირება კი შეამცირებს გადასაზიდვად მოსაზრებულ ხარჯს და გაუადვილებს ამხანაგობათ კავშირთან დამოკიდებულებას. ამ რუქიდანვე სჩანს რომ მეტი წილი რკინის გზის ლიანდაგს ჩამოშორებულ ამხანაგობათა, გურჯაანთან უფრო ახლოა, ვიდრე თელავთან.

ხშირად გვესმის აგრედვე ისეთი მოსაზრება თელავში კავშირის მოწყობის სასარგებლოდ, როგორც მაგალითად ის, რომ ბ ლუკაშვილი, რომელიც ინიციატორობს კავშირის მოწყობას და საკმაოდ მომზადებულიც არის მის სახელმძღვანელოდ, თელავში სცხოვრობსო. ჩვენ კი გვგონია რომ სწორედ ლუკაშვილის საქმის სიყვარულმა და მისმა მომზადებამ უნდა აფიქრებინოს მას, რომ კავშირი უნდა მოეწყოს იქ, სადაც იგი ნორმალურ პირობებში განვითარდება. და სიახლოვე კი ისეთ ძლიერ ამხანაგობათა, როგორც არიან სიღნაღის მაზ-

რის ამხანაგობანი, მას გააძლიერებს და მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს. ამიტომ ჩემის აზრით კავშირი უნდა მოეწყოს სოფ. გურჯაანში.*)

გ. წინამძღვრიშვილი.

სამივე სჯობია

(ჩინ-მაჩინური არაკი)

მოგვხსენებთ, ჩინეთი უცნაური და საკვირველი ქვეყანაა. იქ ყველაფერი უკულმა ხდება.

ამას წინად ერთს ჩინურ გაზეთში ასეთი ამბავი ამოვიკითხე:

ერთი გასათხოვარი ქალი სამმა კაცმა ცოლად ითხოვა.—ამათში ერთი მდიდარი იყო, ერთი ლამაზი, ერთიც ნასწავლი...

...აკი ვთქვი, ახირებული ქვეყანა-მეთქი ჩინეთი: ჩვენში სამი ქალი ერთს საქმროს დასდევს, ისიც ვერ დაუჭერიათ, იქ კი...

არ იცოდა დედ-მამამ ამ სამ საქმროში რომელი ერთი ერჩიათ. ბოლოს, საქმე რომ გაუჭირდათ, აიღეს და არჩევანი ქალს მიანდეს...

...ესეც ერთი უჩინ-მაჩინობა: ასეთი უბრალო საქმის გადაწყვეტა, თუ არ ჩინეთში, სად გაძნელებულა?..

*) რადგან რედაქციას ეს საკითხი ფრიალ მნიშვნელოვანად მიანია, სასურველია გადატანილ იყოს სასოფლო-სამეურნეო სამსჯავროზედ.

ქალს გაუკვირდა:

— მერე რა არის აქ ძნელიო? მდიდართან სადილად წავალ, ლამაზთან ღამე დავიძინებ, დანარჩენ დროს ნასწავლთან გავატარებო...

...შეურცხვა თავი იმ უნამუსოს, ერთბაშად რომ სამი ქმარი მოუნდომებია! ქართველ ქალს სამი საქმრო რომ გამოსჩენოდა, ყოველთვის ერთს დასჯერდებოდა: მდიდარს შეირთავდა, ლამაზს საყვარლად გაიხდიდა, იმ ვილაც მოთრეულ ნასწავლს კი სულ კინწისკვრით გაავადებდა.

დაილოცოს ჩვენი საქართველო!

რიშბაბა.

პატარა შენიშვნა

უწინ ქართული გამოცემების რედაქციებს წესად ჰქონიათ — დასაბუქდი წერილების ენისთვის ყურადღება მიეპყრათ. ამ წერილებს შეძლების-და გვარად, ჯერ ენას შეუსწორებდნენ, გაუშალაშინებდნენ და შემდეგ ჰბეჭდავდნენ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ იმ გამოცემებში (ცისკარი, სასოფლო გაზეთი, დროება, მნათობი) უფრო ხშირად ყველა წერილები თითქმის ერთი ენით იყო ნაწერი. ეს მაშინ იყო, როდესაც ქართული ენა ეხლანდელზედ უკეთეს გარემოებაში იმყოფებოდა, როდესაც ჩვენს მწერლებს ქართული ენის ცოდნა თუმცა სასწავლებელში არა ჰქონდათ მიღებული, მაგიერად მათ ეს ენა მუდამ ქართულად მოლაპარაკე ოჯახში ჰქონდათ შესწავლილი და სასწავლებელში ყოფნის დროსაც იგინი, გაკვეთილებს გარედ, მუდამ ქართულად იყვნენ მოსაუბრენი. მაშინდელი ქართველობაც უფრო ეტანებოდა ძველ მწერლებს: „ვეფხვის ტყოსანს“, „მოურავიანს“, „ყარამამიანს“, „დარეჯანიანს“ და სხვ. ოჯახებში მათს კითხვას (ხელნაწერებით რასაკვირველია), ბევრნი ეწყობოდნენ. ამას გარდაც მაშინდელი პოეტების ლექსები: ბ. გაბაშვილისა, ალ. ქავჭავაძისა, ნ. ბარათაშვილისა, გრ. და ვახტ. ორბელიანისა — ზოგისა კითხვით და ზოგისაც სიმღერით ხშირად გაისმოდა ქართველ ოჯახებში. ამ ნაირად მაშინ ქართული ენა უფრო მეფობდა და ამიტომაც უფრო სუფთა და წესიერი იყო იგი, მწერლებიც ამ ენაზედ იყვნენ აღზრდილნი და თუ დასაბუქდ წერილებში რაიმე უწყობობა შეიპარებოდა, ამას რედაქტორ-გამომცემლები ასწორებდნენ. ამას გარდა გარეშე დარეჯებიცა ჰყვანდა ენას — თა-

ნამედროვე პირნი, ქართული ენის კარგი მცოდნენი და იგინი მის სიწმინდეს და წესიერებას დიდს ყურადღებას აპყრობდნენ. თავად გრიგოლ ორბელიანს წესად ჰქონდა „დროების“ ფურცელში რასაც კი ენის წინააღმდეგს ჰნახავდა, შიგვე წითელი ფანქარით აღნიშნავდა და რედაქტორს უგზავნიდა ხოლმე სახელმძღვანელოდ. „ცისკარსაც“ ესე ეპყრობოდა იგი. ამისთანავე ხელმძღვანელობას ზოგს რედაქციებს დიმ. ყიფიანიც უწევდა. ამისთანავე გარემოების მეოხებით იყო, რომ ჩვენს უწინდელს დრო გამოშვების გამოცემებში ქართული ენა უფრო ქართული იყო, უფრო სუფთა და მისი კანონებიც უფრო დაცული.

დროს განმავლობით ქართველის ცხოვრება შეიცვალა და ენასაც ამ ცვლილების გავლენა დაეტყო. ქართველის ოჯახი გადაგვარების გზას დაადგა, შინაურობაში უცხო ენა გაამეფა და მისი მოხარდი თაობა, მშობლების ნება-გავლენით, სასწავლებელში და შინაც უცხო ენაზედ ლაპარაკს უფრო საქიროდ და თავმოსაწონადაც სთვლიან. ამ გადაგვარებამ და დამახინჯებამ ასე ჰქმნა, რომ ამ ეამად, ამ ქართული წიგნების სიმრავლესა და სიიაფეში, ქართველის ოჯახში ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს იშვიათად შეხვდებით, და მათს მაგიერ „ტიფლისკი ლისტოკი“, „კურიერ კაპეიკა“, „ოგონიოკი“, „სინი ჟურნალი“, „სოლნცე“, „ნაშა ჟიზნი“ და სხვ. ამისთანა აბდა-უბდა უცხო გამოცემები ამშვენებენ ქართველი ოჯახის სასტუმრო ოთახის მაგიდებს. კალენდარიც კი, ეს ყოველდღიური უბრალო ცნობების მომცემი, ქართულშიც ხომ ყველა ცნობები ერთნაირად მოიპოვება, ისიც კი რუსული უკიდით ოთახში.

ამისთანა გარემოებაში აღზრდილი ქართველი, თუ რაიმე შემთხვევითი გავლენით ქართულ მწერლობას მოჰკიდებს ხელს, რა უნდა იყოს მისი ნაწერი თუ არ რუსულად ნაფიქრი და ქართულად გადმოთარგმნით დაწერილი. სწორედ ამან ჰქმნა, რომ ქართულ ნაწერებში რუსული ლექსთ წყობა გამეფდა: წინადადებებში სიტყვების ულაგო ალაგს დალაგება, ჰფერობს თუ არა ჰფერობს აზრს სიტყვისა „რომელიც“ ხმარება, სიტყვისა „რომ“ იქაც ხმარება, სადაც სრულებით საქირო არ არის, ქართული სიტყვების მაგიერ უცხო სიტყვების შემოტანა (პროდუქტი, ინსტრუმენტი) ანუ უცხო სიტყვების თარგმნით შემოღება (ზომა — мера), სახელების იმ ასოებით წერა, რა ასოებითაც რუსულად იწერება (არტანის მაგიერ — არდაგანი, ყანდაარის მა-

გიერ—კანდავარი, აღას მაგიერ—აგა, შაპის მაგიერ შახი და სულ ვინ მოსთვლის). ამ გზა კვალის არე-ვამ დროების შესაფერი გრამატიკოსებიც მოგვიუ-ლინა. ერთი ჰქადაგებს ასოები: თ, ფ, ქ, ყ, ძ, წ, კ და ჯ ქართული ენისათვის მეტი ბარგიაო და აპირობს ქართველი თავისებურად ალაპარაკოს: თა-ვის მაგიერ ტავი ათქმევინოს, ფქვილის მაგიერ ჰკვილი, ქარის მაგიერ კარი, ძვირის მაგიერ ვი-რი, ანუ ზვირი, და სხვ. მეორე ნ-სა სდევნის სი-ტყეებიდგან და ჰქადაგებს: წავიდნენ-ს მაგიერა (წა-სულა) წავიდენ (წადენა) სწერეთო; ზოგნი კიდევ, და უფრო ამ უკანასკნელ ხანში, სახელ არსებითსა და ზედშესრულს სხვა და სხვა ბრუნვითსწერენ, მაგ. დადებითი აზრს, მნიშვნელობითი შემთხვევას, მისი ღირსებას და სხვა; უნდა კი: დადებითს აზრს, მნი-შვნელობითს შემთხვევას, მისს ღირსებას. იქამდი-საც კი მივიდა საქმე, რომ „რაც უნდა იყოს“ შეს-ცვალეს „რაც არ უნდა იყოს“—ათ შესცვალეს, და სხვა.

მაგრამ ყველაზედ მეტი და მასთან მდგარი დევნა ამ დროების გრამატიკოსებისა და არაგრამა-ტიკოსების მეოხებით ასო ჰ-მ განიცადა, იმის მიუ-ხედავად, რომ იგი ასო ზმნის კანკლედობაში აუ-ცილებს, აზრის გამომხატველს ხმას (ბგერას) წარ-მოადგენს და უამისოდ იგი ზმნის თვისებას ჰკარ-გავს და სახელი არსებითის თვისებას იღებს, იგი ისევეა საჭირო ზოგი ზმნის მეორე და მესამე პირის გამოსახატავად, როგორც პირველი პირის-თვის ასო ვ,—და თუ ერთის გადადებება საჭირო, მეორეც უნდა თან მივაყოლოთ. განა გამოცანის ხასიათი არა აქვს ზოგი ეხლანდელი მწერლების ხმარებულ სიტყვებს: გაყვა, მოწამლა, ქადაგებს, გზავნის? ზმნაა ეს სიტყვები: გაყვა, მოწამლა, ჰქა-დაგებს, ჰგზავნის, თუ სახელი არსებითი: გაყვა და მოწამლა მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუ-ნვა, ქადაგებს (ქადაგი)—მრავლობითი რიცხვის მი-ცემითი ბრუნვა, გზავნის (გზავნა)—მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვა? ამის მიხედვრა გა-მოცნობაზედ დრო რად უნდა იხარჯებოდეს, ან ენის ბუნება რად უნდა მახინჯდებოდეს. ეს რასა-კვირველია, ზოგი გრამატიკოსისა და პროვინციის ბრალია, მაგრამ უფრო იმისი, რომ ჩვენ წესიერად შემუშავებული გრამატიკა არა გვაქვს და როგორც მოგვხვდება ისე ვწერთ. ეს იქიდგანაც სჩანს, რომ ზევით მოყვანილი ნიმუშების მწერლები ერთგან რომ ჰკვეცენ ჰ-ს, სხვანაირი იქვე ახლოს ხმარობენ ამ ასოს, ხოლო რაც შეეხება იმ სიტყვებს, სადაც

ჰ-ე ს-დ იცვლება, იქ ამ ასოსი უარყოფა ვეღარ მოუხერხებიათ, და სწერენ: გაჰყვა, ჰკითხოლ, ჰგო-ნია, მიჰკედლებია, ჰშველის და სხე., სწერენ, მოს-წამლა, ჩასქიდა, დასაოგუნა, წასთვლიმა და სხე. და სხე.

ეს ყველა რიგიანი გრამატიკის უქონლობის მიზეზია და პროვინციის მწერლობის გავლენითაც არის. უეჭველია რიგიანი გრამატიკაც გავიჩინდება როდისმე, არც პროვინციის გავლენა არის საბო-ლოოდ საშიში (არსად მომხდარა რომ ერის მწერ-ლობაში პროვინციის გზა გამეფებულიყო) მაგრამ ვიდრე რიგიანი, აკადემიურ-მეცნიერული გრამატი-კა გავიჩინდებოდეს, ვიდრე სასწავლებლებში ქარ-თული ენის წესიერი სწავლება შემოიღებოდეს, ჩვენ-მა მწერლობამ უნდა ასწავლოს ქართველს ქართუ-ლი ენა. ამიტომ ჩვენი მწერლობის სათავეში მდგარ-ნი მოვალენი არიან დარაჯად ედგნენ ენას, და როგორც უწინ მათ წინაპართ-გამომცემელთ ჰქონ-დათ ჩვეულებად, ისე ეხლაც დასაბეჭდი წერილები და თხზულებანი დაბეჭდვამდის შეასწორონ ხოლმე, ღვარძლისგან გასწმინდონ და მით ერთის მხრივ მის დამახინჯებელ გრამატიკოსებისა და არაგრა-მატიკოსებისაგან დაიფარონ იგი, და მეორე მხრივ მკითხველ საზოგადოებაში სუფთა ქართული ენა გაავრცელონ. ესეთი დარაჯობა ქართულ ენას უწინდელზედ მომეტებულად ეხლა ესაჭიროება.

თავისუფალი მეთვალყურე.

შ ე თ ლ

(საშობაო მოთხრობა, ციკლიდგან „მოხუცის ნამშობი“).

წარსულთა დღეთა სიმწარ-სიამე
აღნებად ტკბილად მომავლადება.

ჩვენი ცხოვრება, როცა განვლილ არსების ხა-ნას სამოცი წლის სიმალიდგან დაჰყურებთ, მოგა-გონებთ ზაფხულის ღამეთა სიზმრებს. მოკლე და პატარაა ზაფხულის ღამე, და ასეთივეა მისი სიზმ-რებიც. მოკლე და პატარაა იგი, როგორც აღამიან-ის ღამაზ ოცნებათა ხანი: მსწრაფლად გაიბრუნს, აღმოსავლეთი გაალისფერდება, და თქვენც რაღაც ტკბილი სევდით შესტკერიხართ მას.

მოხუცებულობის დროს აღამიანი თავისს სი-ცოცხლეს თავისი თავ-გადასავალი შემთხვევათა ჯა-

მით ანგარიშობს, და ყოველი შემთხვევა ამ მოკლე, პატარა და ლამაზს ზაფხულის ღამეს წააგავს, და ისინიც გულში სტოვებენ ტკბილ სევდიან მოგონებათ.

ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა მეც. იგი იყო ლამაზი სიზმარივით ტკბილი, და ზღაპარივით ჩქარა გაიარა, თუმცა ჩემს გულში აუხოცველად აღიბეჭდა. რასაკვირველია, იმ დროს ჯერ ისევ ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრებას ჩემთვის არ ჩაველო თავისი სუსხი და ყველაფერს ჩემი ოცნების ქვეშ ვავარდისფერებდი.

ჩემი უნივერსიტეტში ყოფნის პირველი წელი იყო, და აბა ისე როგორ დავტოვებდი, რომ შობა-ახალწლისთვის სამშობლოში არ დავბრუნებულეიყავ და აქ არ გამეტარებინა ეს დღესასწაულები, როდესაც მთელი ჩემი გული აქეთ მეწეოდა. საქართველოში ქრისტიანობისთვის ნახევარს ჩამოვედი, თბილისში დავბინავდი და მთელი დღეები გოლოვინის პროსპექტს არა ვშორდებოდი: საღამოობით კი სადმე სტუმრად დავდიოდი.

შობის დღესასწაული იდგა. ყველა მხიარულობა-სიამოვნებას მისცემოდა. ერთმანეთში ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ, და აი მეც უცაბედად მოვხვდი ერთს ქართულ ოჯახში. ახალგაზრდობა შეყრილიყო, მღეროდნენ, თამაშობდნენ, ცეკვავდნენ, სიამოვნებდნენ. მასპინძელი ოჯახი მეტად გულ-კეთილი და სახე-მხიარული უხვდებოდა სტუმრებს, ქალები კეკლუცად და მოხდენილად დიასახლისობდნენ; და მეც საერთო მხიარულებაში ჩავერიე. დრო შეუმჩნევლად მირბოდა.

და აი სწორედ ამ საღამოზედ აქ მე გავიცანი ერთი ახალგაზრდა ქალი—ქეთო ფოთოლაძე. მისი შავი თვალები სიზმარივით ელვარებას აფრქვევდნენ, ლამაზი სახე სიამოვნებით გიტაცებდათ და გიშერის თმა ლამაზ გვირგვინად დასწოლოდა მის მარმარილოს შუბლს. ხშირად გამიგონია კამათი, სიყვარული მსწრაფ-ნაშობი გრძნობაა, თუ თანდათანობით განვითარებულია. მე ვგონებ ერთიც და მეორეც. ყველაფერი აქ თვით ადამიანზედ ჰკიდია. ახალგაზრდის გული ცეცხლია, და მისი სიყვარულიც უნდა მალი იყოს. მეც ასევე დამემართა. დავინახე თუ არა ქეთო, შემიყვარდა, და შემდეგ მთელს საღამოს თვალი არ მომიშორებია, ყოველი მისი მიმოხვრა, ხმა, სიცილი მხიბლავდა მე და გამოუთქმელი ნეტარებით მივსებდა გულს.

ეხლა რომ მკითხოთ რა მომეწონა მასში, ვერ გეტყვით, და ვგონებ, არც მაშინ ვაძლევდი ჩემს

თავს ამაში ანგარიშს. და ან განა სიყვარულის დროს რამე ლოლიკა არსებობს? მე ის მიყვარდა, აი მთელი საფუძველი; მიყვარდა პირველს შეხვედრისასვე ძლიერად, გამოუთქმელად, გატაცებით. მასში ვხედვდი ყველა ჩემი იდეალების განხორციელებას. პირველად ვხედავდი, მაგრამ ძველი, უვიწყარი დროის მეგობარი მეგონა; ახლად გავიცანი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, რომ განხორციელებული სისრულე ვპოვე მასში, პირველი შეხვედრა იყო, მაგრამ ჩემთვის ექვს გარეშე იდგა ის, რომ იგი დაჯილდოვებული იყო ბუნების მიერ ყველა იმ ღირსებებით, რომლებიც კი მე მინდოდა ქალსა ჰქონოდა.

და მე ახალგაზღვრი სისწრაფით გადავწყვიტე, რომ იგი იქნება ერთად ერთი და უკანასკნელი, რომელსაც ეთაყვანება სამუდამოდ ჩემი გული.

გულუხვმა მასპინძლებმა გვიანობამდის არ გაგვიშვეს სახლებში, და წასვლისას ისე მოვახერხე, რომ სახლში ჩემი ქეთო მე გავაცილე. შობის მშვენიერი ღამე იყო. ვარსკვლავებით მოქედილი კამკამა ცა ლამაზ გუმბათად დაჰყურებდა ქვეყნიერობას. ირგვლივ რაღაც წყნარი სიმშვიდე და ნაზი სიჩუმე იყო გამეფებული. თითქოს ბუნება ელის, ანგელოზთა გუნდი გადმოვიდოს და ლაღადისათ იგალობებს, ქრისტეს შობას აღუწყებს კაცობრიობას და ქვეყანას მშვიდობასა და სათნოების დამყარებას უსურვებსო.

და მთლად ჩემი არსებაც ბუნებისა და გარემოს ამ ტკბილ-შეზავებულ განწყობილებას შეუთანხმებოდა თავის სულისთქმას. ჩემი გული რაღაც ღვთიური ჰარმონიის ჰანგებით იყო აღვსილი. მიყვებოდი ქეთოს, და ჩემი თავი სანეტარო სამეფოში მეგონა.

სახლში გვიანობისას დავბრუნდი. იმ ღამეს მაინც არ დამიძინია: სულ ქეთოზედ ვოცნებობდი. და როცა განთიადისას რულმა დამძლია, სიზმარშიაც კი ისევ ვნახე. რა ბედნიერად ვგრძნობდი თავს!

მეორე დღეს სულ ქეთოს გზაზედ დავდიოდი, მაგრამ ვერსად შევხვდი. ასევე იყო შემდეგ დღეებიაც. რა რიგ ვიტანჯებოდი მაშინ ყველა ამით! მხოლოდ ერთხელ გოლოვინის პროსპექტზედ მივდიოდი და უცბად მან ეტლით გაიარა. შევკრთი, ფერი მეცვალა. დიდხანს ვიდექი და თვალს ვადევნებდი მიმქროლავ ეტლსა, რომელშიაც ჩემი ძვირფასი საუნჯე იჯდა. პირადად, ახლო სალაპარაკოდ კი ველარ ვნახე ველარსად, თუმც ბევრს ვეცადე. ვინ იცის,

რამდენჯერ გამივლია მათი სახლის ახლო და შეეცქერივარ ფანჯრებს, რომლის იქითაც მეგულებოდა კეკლუცი ქეთოს ნაზი სახე; რამდენი საათი გამიტარებია იმათ წინ იმ იმედით, ქეთო გამოვა და ვნახავ მეთქი. მაგრამ ამაოდ!

ის იყო და ის. მე ის აღარსად შემხვედრია. მიყვარდა კი დიდს ხანს და ტკბილ-მწარე ნეტარება-ტანჯვას ბევრს განვიცდიდი. დღე მუდამ მახედ ვფიქრობდი და ღამეც კი ის მეზმანებოდა. ბევრი რაინდულ საქმისადმი სურვილი აღმიძრა ქეთოზედ ოცნებამ!

წავედი შემდეგ რუსეთში ქეთოს დავშორდი სამუდამოდ, მაგრამ მისი ნათელი სახე ყოველთვის თვალწინ მდგა, როგორც ჩემი ცხოვრების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი.

რა იქნა ქეთო, სად არის, ცხოვრებაში როგორი გზა გაიარა, არ ვიცი. მართლა ასეთი იყო, როგორც ის მე ამ ღამეს გავიცანი? არც ვგ ვიცი. შესაძლოა, ყველაფერი ჩემი ოცნების შექმნილი იყო. მაგრამ ეხლაც კი რომ მაგონდება იგი, რაღაც ტკბილს ნეტარად მივლის გულში ის დრო, როცა ის ვნახე და შემიყვარდა. ეჰ, ხომ იცით, ყმაწვილობისას, როგორც ყველა, მეც ოცნებით ვქმნიდი ჩემს ცხოვრებას. დავბერდი, და ეხლაც „წარსულთა წელთა სიმწარ-სიამე ოცნებად ტკბილად მომაგონდება“.

ოცნებაა მთელი ჩვენი სიცოცხლე, მხოლოდ ოცნება!

დაათავა თავისი მოთხრობა მოხუცმა შობა ღამეს, და ერთად დღესასწაულის შესახვედრად შეკრებილი ახალგაზრდობა ყურს უგდებდა მას.

და ბევრს იმ დროს მოაგონდა თავისი თავი და მის მიერ შექმნილი ოცნებათა სამეფო.

გ. ნამორაძე.

ფელეკონი

ესთეტიური კულტურა

III

ესთეტიური კულტურის საკითხებმა უკანასკნელ დროს დასავლეთ ევროპაში მმართველი წრეების ყურადღებას მიიპყრეს. იმ იდეის, რომ ესთეტიუ-

რი კულტურა არსებითად საქირაა, თუ გვინდა საზოგადო კულტურისნობის აყვავება, ამ იდეის სრული გამარჯვება ჯერ აღრეა, მაგრამ ზოგიერთი ნიშნები კი იმის მაჩვენებელი არიან, რომ ეს გამარჯვება მოახლოვებულია.

ასე, მაგალითად, დანიის საზოგადო სამუშაოთა მინისტრის წინადადებით რიქსდაგმა 1906 წელს გადასდო 15000 კრონი, რომ დანიის რკინის გზების სადგურებზედ მგზავრთა დარბაზები მოიროთოს საუკეთესო ნახატებით, გრავიურებით, ფოტოგრაფიურებითა და კარგი ფოტოგრაფიული სურათებით. ამგვარად დანიის საუკეთესო მხატვართა ნახატების რეპროდუქციები ჩარჩოებში ჩასმული მოეფინება მთელს დანიას. ეს პირველი ხარჯია, საცა სახელმწიფო ვრცელი მასის ესთეტიურ განვითარებაზედ ზრუნავს. და აქ დანიის მინისტრის განკარგულებაში იფარება ჩანასახი დიდებული რიოსკინის იდეისა, რომელიც მან განახორციელა შეფუთვლის მუშათა მუზეუმში, რომლის შესახებაც ჩვენ წინა წერილში ვწერდით.

დიად, ნელა, ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც შედის სახელმწიფოთა და საზოგადოების დაწესებულებაში შემეცნება თანამედროვე ცხოვრების წყობილების სიმახინჯისა. „მანქანათა საუკუნის“ ბეჭედი აქვეს ყველაფერს ირგვლივ. სამანქანო ტრაფარეტმა საშუალ-საუკუნო ხელოსან-არტისტების სამხატვრო ინდივიდუალობის ადგილი დაიჭირა. და ყოველივე სადღესო, თვით მცირედიდგან დაწყებული ერთობლივ ესთეტიურ გემოვნების სრულ უქონლობას წარმოადგენს. ხუროთ-მოძღვრების მხრივ ჩვენი ქალაქები ქვა-კირის ხროვას წარმოადგენენ. მხოლოდ ყაზარმებსა და საფაბრიკო შენობებს აქვთ აქ მნიშვნელობა. მაგრამ ამ სისტემატიური სიმახინჯის წინააღმდეგ უკვე გაისმის პროტესტის ხმები. და აი სწორედ ამ ესთეტიური კულტურის განვითარების თვალსაზრისით აუცილებლივ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელი დროის ფაქტს, როდესაც სამოქალაქო მმართველობანი და საზოგადოებანი, რომლებსაც მხატვრული მიზნები აქვთ განვითარებული, ნიშნავენ ჯილდოებს, პრემიებს, და კარგა მოზრდილს პრემიებსაც, ვინც მხატვრობის მხრივ საუკეთესო სახლს ააშენებს. და ამ ბოლო დროს ამ გვარი პრემია თვით ჩვენი თბილისის საქალაქო საბჭომაც კი დანიშნა.

თავი დავანებოთ ახლა ქალაქებს და გავიღეთ ტყე-მინდორში. მაგრამ თქვენ ვერც აქ შეხვდებით იმ ველურ ბუნების ქალწულებრივ სილამაზეს. თანა-

მედროვე ადამიანს ერთი საკვირველი ნიჭი აქვს — ყველგან შელახოს ბუნება. თუ იგი თავის მეშინურ გემოვნებას არ მისდევს და ყოველიფერს მაკრატლით სავარცხელ ქვეშ არა ჰკრეკავს, ის სხვანაირად ახდენს ბუნების სანახაობას. შვეიცარიის საუკეთესო ლამაზს ადგილებზედ, ხევებში და კლდეებზედ ყველგან ადამიანს თვალ-წინ ეჩხირება ვეებერთელა ამართული განცხადებანი, რომლებიც აქებენ რომელიმე ვან-გუტენის კაკაოს, ან სხვა მისგვარს. ნორვეგიის ფიორდების თვით მიუვალი ადგილებიც კი სავსეა ამისთანა ვან-გუტენის განცხადებებით. აი ამის გამო დასავლეთ ევროპაში ეხლა შესდგენენ „ველის დამცველი“ საზოგადოებანი. ერთი ამ გვარი საზოგადოება ბელგიაშიც დაარსდა, და ამ საზოგადოებამ დებუტატთა პალა-

ტაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომ სახელმწიფოს ეზრუნა ბუნების სილამაზეთა დამახინჯების წინააღმდეგ.

ღიად, თანამედროვე „კულტურულმა“ კაცობრიობამ სილამაზის გრძნობა დაჰკარგა, დაჰკარგა მან თავისი სიმღერები. თანამედროვე ტრუბადურები და მინნენზენგერები შარა გზებზედ მღერიან კაზარმულს ლექსებს და საქარხნო კუბლეტებს, რომლებიც ფაბრიკის სირინოზთა ზმუილს წააგვანან. მაგრამ ამ ბოლო დროს თანამედროვე კაცობრაბაში თავს იჩენს „სილამაზის რელიგიის“ მოციქული რიოსკინის ოცნებანი, და ესთეტიური კულტურის დიდი მნიშვნელობის შეგნება უკვე ფეხს იკიდებს...

ახალმოსული.

თქმულება საგენფელდზე გერმანიაში

(მ. ტვენისა)

ამ ათასის წლის წინად ზაწაწინა ოლქი საგენფელდი კოხტა ზაწაწინტელა სსმეფო იყო; სთამაშოს მოგაკანებათ! მორჩილი და მორიდებული მცხოვრებლები ჰქუდა. მოშორებული იყო კინკლასობას, შურთან შეჯობებას, შარსა და ბორატსა; მშვიდობიანად და წუნარად ატარებდა დროსა. მცხოვრებლები მშვიდობიანობის ბურანში იუენენ გახვეულნი და უველკან სადღესასწაულო სიმშვიდე სუფევდა. სხვა ქვეუნიებში სიავერ არის, შურიც, ზეადობაც, წუენაც და უბედურებაც, ამ სამეფოში კი ამისთანას ვერაფერს ნახავდით.

ერთ დღეს მოხუცებული მეფე გარდაიცვალა და ტანტზე მისი შვილი გუბერტი ავიდა. ხალხს დღითიდღე უცხოვლდებოდა გუბერტის სიუვარული. ისეთი გულკეთილი, ისეთი წმინდა, ისეთი კეთილშობილი ვინმე იყო ნორჩი მეფე, რომ ხალხმა თითქმის გადმერთება დაუწყო: სიუვარული უველას გნებად გადაექცა.

როცა გუბერტი დაიბადა, ვარსკვლავთმრიცხველები გულმოდგინედ შეუდგნენ ვარსკვლავების შესწავლას და ცაის მბრწყინავ წიგნში შემდეგი წინასწარმეტყველობა ამოიკითხეს:

გუბერტი რომ მეთოთხმეტე წელში გადადგება, განსაცდელში ჩავარდება და ერთი ცხოველი სიკვდილს გადაარჩენს. ამ ცხოველის ხმა გუბერტს ისეთ საამურ

გალობად შემოესმის, რომ მთელი ქვეუნიის უველას ცხოველის ხმას დამჯობინებს. სსნამ ხალხი ამ დამსახურებულ ცხოველის ჯიშს ზატყვას სცემს, მანამ ძველი დინასტიაც იცოცხლებს, თავის დღეში შემკვიდრეები არ მოაკლდება, და ხალხს არც სიღარიბე ეცოდინება, არც სნეულება! მაგრამ ფრთხილად იუვით, არჩევანის დროს შეცდომა არ მოუვიდესო!

როცა მეფე მეცამეტეში იყო გადამდგარი, მთელი ხალხი, აგრეთვე ვარსკვლავთმრიცხველები, მინისტრები და ზატარა ზარამენტი სულ იმას ფიქრობდნენ: როგორ უნდა გავიგოთ წინასწარმეტყველობის უკანასკნელი ფრაზაო? წინასწარმეტყველობის პირველი სტრიქონების მიხედვით, მსსნელ ცხოველს თვითონ უნდა აერჩია თავისი თავი დანიშნულ დროსა, უკანასკნელი ფრაზით კი ისე გამოდიოდა, რომ თითქოს თვით მეფეს უნდა აერჩია და გადაეწვიტა, რომელი მგალობელი ცხოველი უფრო მოსწონდა უველასზე ძალიან. თუ არჩევანი გონივრული იქნებოდა, არჩეული ცხოველი მეფესაც სიკვდილს გადაარჩენდა და ამისთანავე დინასტიასაც ისსნიდა და ხალხს; მაგრამ თუ მეფე შეცდომას ჩაიდენდა არჩევანის დროსა, საქმე უკუღმა დატრიალდებოდა.

წლის დამლეკს წინასწარმეტყველობის გამო იმდენივე სხვა და სხვა აზრი ტრიალებდა საგენფელდში,

რამდენიც წლის დამდეგს. ამისდა მიუხედავად ბრძენთა უმეტესობაც და უბრალო მომაკვდავნიც იმის მომხრენი იყვნენ, რომ ჰატარა მეფე ამათათვე შესულიყო არჩევანში. გასრეს ბრძანება: ეველას, ვისაც კი რომელიმე მკვლობელი ცხოველი გვაგო, უნდა სსახლის დიდ დარბაზში მოიყვანოთ ახალი წლის ჰირველ დღესათ. აბა რაღა თქმა უნდა, ბრძანება ეველამ შესრულა. როცა ეველაფერი მზად იყო გამოსცდელად, ჰატარა მეფე დიდის ღეიმიით გამობრძანდა დიდ დარბაზში; გარს სსახეიშო ტანისამოსმა გამოწყობილი მინისტრები ეხვივნენ. მეფე ჩამოჯდა ოქროს ტახტზე და აზრის გამოსაქმელად მოემზადა, მაგრამ შეჩერდა.

— ეს ქმნილებანი ეველანი ერთად გალობენ, — სთქვა მეფემ. — აუტანელი ხმაურობა! აბა, ვინ რას არჩევს ამ ურამულში? წაიკვით ეველანი აქედან და შერე სათითად შემოიყვანეთ.

ბრძანება შესრულეს.

მეფე სტებობდა, იხილავდა ზედი-ზედ თვითული მკვლობელის ხმით, მაგრამ ვერც ერთისთვის კი ვერ დაეღ ხელა. ერთი კარდილატი მეორის ადგილს იჭერდა. ძვირფასი წამები გარბოდნენ. მეფეს კი სქამე ვერ უდავილდებოდა; არ იცოდა ამოდენა სუცხოვო მკვლობლებში რომელი ერთი ამოერჩია. კარგად ახსოვდა, რომ წინასწარმეტყველობა სსახელს უქადაა შეცდომისათვის და არჩევნის სქამე უძნელდებოდა. გაუბედაობა უფრო და უფრო უჯდებოდა გულში, ვერ მინდობდა თავის ეურს, ეშინოდა. ნერვები აქადა; მოუსვენრობა დაეტუო. მინისტრებმა შეამჩნიეს ესა და თვალს არ ამორებდნენ. გულში ესენიც მოუსვენრობას გრძნობდნენ.

— მეფემ მხნება, გულგრილობა დაკარგა! — ფიქრობდნენ მინისტრები. — უეჭველად შეცდომა მოუგა! თვითონაც, მისი დინასტიაც და მისი ხალხიც სსახევილოდ არიან გაწირულნი!

გაიარა ერთმა საათმა. მეფემ დაარღვიო სიჩუმი და წამოილაშარავა:

— აბა ერთი კიდევ მომიყვანეთ ტოროლა.

ბრძანება აასრულეს. ტოროლა მოუყვანეს. წამსვე დარბაზში მიხარული სიმღერა გაისმა. შუა სიმღერაში რომ იყო ჩიტო, მეფეს უნდოდა კმაყოფილების ნიშნად სკიპტრა აქწია მდლა, მაგრამ შესდგა და სთქვა:

— არა, სჯობია ერთხელ კიდევ დაჯავრო ჩემი გული. აბა, ზაშვიდ მოიყვანო. დაე ორნივემ ერთად იმღერონ.

ზაშვიდ მოჰკვარეს და ტოროლას გვერდით ამოუყენეს. ფრინველებმა თავისი მშვენიერი სიმღერები ერთად დასძახეს.

მეფე ჯერ ისევ შეეყმინდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწვეეტის გზას დაადგა. სსახე ეტუობოდა, რომ ტოროლა უფრო მოსწონდა. მოხუცს მინისტრებს იმედი მიეცათ; თვითეულ მათგანს ძარღვმა აჩქარებით დაუწეო ტემა. მეფემ სკიპტრა მდლა ამართა: უნდოდა არჩევნის დასრულება ენიშნებინა. უცბად...

— უუუ...! უუუ...! უუუ...! — გაისმა კარებს უკან სსახევილოდ ხმა.

მეფე შესდგა; სკიპტრა ძირს დაუშვა.

ეველანი შიშის ზარმა შეიბერო, მაგრამ ამსთანავე სსახე სიბრაზეც აღებულდათ: თავის თავს უწერებოდნენ, რად შეტეშინდოთ.

ერთი წუთის უკან ოთახში მშვენიერი ჰატარა გოგონა შემოიჭრა: გლეხისა იყო, ცხრა წლის იქნებოდა. თვალები ბავშვიური სიმაღლესით უბრწყინავდა, მაგრამ, როცა დაინახა დიდკაცობა და ამოდენა გულმოსული ხალხი, შედგა, დაღუნა თავი და თავისი ტლანჩი ეველანს თვალზე მიიფარა. არავინც არ მიესალმა, არავისაც არ შეებოდა. ბოლოს გოგონამ მორცხვად აღაბერო ნამტიორაღვი თვალები და სთქვა:

— ჩემო ხელმწიფეო, მეფეო, მაშატიე! მე როდი მინდოდა ცუდი რამ ჩამედინა! მე არც დედა მუავს, არც მამა. მუავს ერთი თხა და ერთი ჩოკინა. ეს არის მთელი ჩემი სიმდიდრე. ჩემი თხა სსახევილოდ ტკიბლ რძეს აწველებს. ჩემი კეთილი, ძვირფასი ჩოკინა კიდევ ისე ერთეინებს, რომ იმისთანა სუცხოვო მუსიკას მთელ ქვეყანაზელაც ვერ გაიგონებს აღამიანი თქვენმა მღიქულმა სთქვა მეფესა და ხალხს ის ცხოველი გადაარჩენს, რომელიც ეველა ცხოველზე კარგა ცალობსო. მეც აგდექი და ჩემი ჩოკინა წამოგიყვანე აქა...

ამის გაგონებაზე კარის კაცებმა ერთი რადაც უშინოდ გადაიხარხარეს. ბავშმა ტირილი მორთო, სიტყვა ვერ გაათავა და გაიქცა. მთავარმა მინისტრმა მაშინვე ბრძანება გასცა, გაეგლოთ გოგონა და მისი ვირიცა და ახლეს ადარ გაეცაწახებინათ სსახევისათ.

ფრინველების გამოცდა განახლეს. ზაშვიც და ტოროლაც დამაზად გალობდნენ, მაგრამ მეფე ნიშანს ადარ იძლეოდა. სკიპტრა უძრავად ედო ხელში. მინისტრებს ნელ-ნელა იმედი ეკარგებოდათ. გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე საათი და გადაწვეეტელებს კი არსად იყო. დღე თავდებოდა. სსახელს გარს ბრბო შემორტევიდა და მოუსვენრად ელოდა სქამის გათავებას: მოთმინება დაჰკარგოდა. მიდამო ბინდ-ბუნდა მოიფარა. მეფე და კარისკაცი ერთმანეთს გედარ არჩევდნენ. კრინტსაც არავინ სძრავდა, სინათლეს არავინ თხოულობდა. დიდმა გამოცდამ ფუჭად ჩაიარა! ეველანი თავებს იმაღავდნენ სიბრველში, სსახეზე წყნა და მოუსვენრობა არავინ შეკვამწინოსო...

უბად ბუღბუღას გალობა გაისმა დარბაზში; შორეულ კუთხიდან საუცხოვო, მდიდარმა ციურმა ხმებმა იწვეს დენა.

— ადექით! - დაივირა მეფემ.— დარეკეთ ზარები; გამოუცხადეთ ხალხსა, რომ არჩევანი გათავდა და შეტდომს არ მოგვსდის! მეფე, დინასტია და ხალხი გადარჩა! დღეიდან მთელი ჩვენი მხარე მუდამ ჰატრიოთ უნდა მოეპუროს ბუღბუღას. გამოუცხადეთ ხალხსა, რომ ბუღბუღას შეურაცხყოფა არავინ მიაყენოს, რომ არავინ რა აწინა, თორემ სიკვდილით დაისჯება. მეფემ ბრძანა!..

ჰატრას სამეფო დიდმა სიხარულმა მოიხატა. სისხლელ და ქაღალტი ათასობად განათეს, მთელი დამე ლხინი არ გათავებულა. ხალხი მდგომარე, სვამდა და ცეკვავდა; ზარის რეკვა ერთ წუთასაც არ შეჩერებულა.

ამ დღიდან ბუღბუღი სდმრთო ფრინველად გადაიქცა. ყველამ გაიზინა სხლში; ყველა ავალბებდა. ჰოტები ქებადიდებდნენ ასხამდნენ, მსატრები ჰხატავდნენ. ბუღბუღის ქანდაკებანი კამარებს, კოშკებს, შადრევნებს და სხვაგადო შენობებს ამშვენებდნენ. ასე გასინჯეთ, ეს ფრინველი სამეფო საბჭოშიაც კი მიჰქავდათ; ერთი სახელმწიფო საუურადღებო საქმერ კი არ სწედებოდა უამისოდ! ბრძენთ საქმე ჯერ ბუღბუღისათვის უნდა მოესხნებინათ, ბუღბუღი ეგალობებინათ, მერე ნაცლობები მინისტრებისათვის გადაეთარგმნათ...

II

ჰაბუკ მეფეს ნადირობა ძალიან უეჭარდა. დადგა თუარა ზაფხული, სანადიროთ გაემზადა ქორ-მეძებრებითა და თან კარისკაცებისაგან შემდგარი ამაღა გაიყოლა. ერთ ხმირ ტუეში მხლებლებს ჩამოშორდა და მარტო დარჩა. რომ მალე შეერთებოდა ამაღას, მოკლე გზას დაუწყო ძებნა და დაიბნა. ჯერ გულს არ იტყვდა, ეგონა, ვაზოვანი ჩემ კარის კაცებსაო, მაგრამ მერე კი მხნეობა დაკარგა: დამემ უწია და, რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო უნობ ადგილებს ხვდებოდა. ბნელაში ცხენი გაატყნა, ხეების სისშირის გამო ვერა გაარჩია რა და ხრამში გადაიხეს. ცხენს კისერი მისტყდა და მხედარს ფეხი!

საწყალი მეფე იდო ხრამის ძირას და საშინლად წვალობდა; თვითუული წუთი საუკუნობად ეჩვენებოდა. უური მახვილად ეჭირა, იმედი ჰქონდა, აი ან ესლა გავიგონებ მხსნელ ხმას, ან ესლათ, მაგრამ ჰაჰანება არ სად იყო. არც ადამიანის ლაზარაკი ისმოდა, არც საუბრის ხმა, არც ძაღლის ეუფვა. ბოლოს, რაკი იმედი გადაუწედა, წაიხურხულა:

— დე მოვიდეს სიკვდილი! ხომ სულ ერთია, უნდა დავიდებო!..

სწორედ ამავე წუთს ტევრში ბუღბუღის გალობა გაისმა და დამის სისუჟე დაარღვია.

— გადავრჩი! — წამოიძახა მეფემ.— გადავრჩი! ეს ხომ სდმრთო ფრინველია! წინასწარმეტყველობა აღსრულდა! თკით დმერთებმა გადამარჩინეს შეტდომისაგან არჩევანის დროს!

სიხარულისაგან თავს ძლივსდა იკავებდა; არ იცოდა, დმერთებისათვის მადლობა როგორ გადაეხანდა. სიტუვის თქმის ვერ ახერხებდა. მეფე უფელ წუთს შველას მოელოდა, მაგრამ სულ ტუეილად— დრო გარბოდა სდმრთო ფრინველი თავისთვის გალობას განაგრძობდა და შველა კი არსაიდან იყო! მეფეს, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა თავის არჩევანის სისწორეში, მაგრამ ჯერ კიდევ გული არ გაიტყეს. გაიარა ხანმა და ფრინველი ჩხრუმადა, დილაც გათენდა, მეფეს წუურვილი და შიმშილი ეწვია, შველა კი მაინც არსაიდან იყო.

დღემ გაიარა, დაღამდა. მეფემ ბუღბუღი დასწევლა.

ახლა მაშვის სიმღერა გაისმა. მეფემ გაიგონა და სიტყვა:

— აი ნამდვილი ფრინველი. ჩემი არჩევანი სწორი არ იყო. ახლა კი შველა საიდანმე იქმნება უთუოდ.

მაგრამ მეფეს არავინ მოსშველებია. საწყალმა გრძნობა დაკარგა და რამდენიმე საათი უძრავად იდო. როცა გონს მოვიდა ტორთლამ დაიწყო გალობა.

— ეჰ! — წამოიძახა ჰაბუკმა.— ტუეილია, ეს ფრინველები მე ვერ გადამარჩინენ; დინასტიაც, ხალხიც და მეც უთუოდ დავიდებოთ!..

მეფე უგულოდ უვადებდა გალობას უურსა. აღარაფერი სჯეროდა! შიმშილმა და წუურვილმა ისე მიასუსტა, რომ თავი აღარაფრისა ჰქონდა. მგალობელს ზურგი შეაქცია და სასიკვდილოთ მოემზადა— უკანასკნელი წუთები იგრძნო. დიდხანს, დიდხანს იდო უძრავად, გარინდებული...

მესამე დილა გათენდა და მეფე გონს მოვიდა. მშვენიერი რამ იყო ამ დროს ქვეყანა! ტანჯულმა ჰაბუკმა თვალი ვეღარ მოაშორა, სინათლის სურვილი ადემრა გულში და მხურვალე ღოცვით მიმართა ცას: შებრალებას ემუდარებოდა, გულით შესთხოვდა სხლისა და მეგობრების ნახვას!

უბად შორიდან სუსტი, სუსტი ხმა შემოესმა მეფის გაძაფრებულ უურსა.

— უუუ...! უუუ...! უუუ...! — ეროფინებდა ვირი. ოჰ რა ტკბილი, რა სასიამოვნო რამ იყო ეს ხმა! ათასჯერ სჯობდა ბუღბუღის გალობასაც, შაშვისსაც და ტორთლისსაც. ეს ეროფინი, არამტოუ კაცის გულში მარ-

ტო იმედს აღვიძებდა, აუცილებელ შეგელსაც მოასწავებდა.

— გადვრჩი! — სთქვა მეფემ თავისთვის. — სდმრთო მკალბებელმა თვითონვე აიჩნია თავისი თავი; წინასწარმეტყველობა ასრულდა: გადვრჩით მეც, ჩემი სხელიც და ჩემი სულსიც! ამ დღიდან ვირი სდმრთო ცხოველად იქნება აღიარებული!


ციური სმები თანდათან ახლოვდებოდა და მკაფიოდ და საამურად გაისმოდა ტანჯულის ყურში. სერიდან პატარა მოკლე ჩოკინა ჩამდიოდა, გზა გზა ბაღასა ხონინდა და სუცხოვო გალობას განაგრძობდა. უტბად მკვლარი ცხენი და დარეგვლი მეფე დაინახა, მიუახლოვდა და ცნობის მოყვარებით დასუნა. მეფემ მიუაღერს. ვირმა წინ დაუჩოქა (ასე იყო დაჩვეული, თავის პატარა პატრონსაც ასე ისევამდა სოლმე ზურგზე). ტაბუკა წაავლო სულგრძელ ცხოველს ყურებში ხელი და რის ვაივაგლახით მოაჭდა ზურგზე. ვირი ურთოინით გაუდგა გზას და მეფე შირდაპირ პატარა გლეხის გოგონას ქახშიკი მიიყვანა. ბავშვმა დააწვინა მეფე ჩაღის ნაღზე. დაალეგინა თხის რძე და მერე გარედ გაქაჩა; უნდოდა ვინმე იმათგანი ენახა, ვინც მეფის საძებნელად იქნებოდა წამოსული, და დიდი, დიდი ახალი ამბავი ეამბნა.

მეფე მორჩა და ქვეყნის მართვას შეუდგა. შირველი საქმე იმისი ის იყო რომ ვირი სდმრთო და წმინდა ცხოველად გამოაცხადა! მერე ის, რომ ეს ვირი სდმინისტროში შეიყვანა და თავის მოავარ მინისტრად გახდა. მესამე საქმე ის იყო, რომ ბუღბუღის ქანდაკებანი და ხატები დაამხობინა და ვირის ქანდაკებანი აღამართვინა და ვირის ხატები გამოაკიდგინა; მეოთხე კადეგ ისა, რომ გამოაცხადა, როცა პატარა გლეხის გოგონა 15 წლისა გახდება ცოლად შევირთამო, და აღსრულა კადეგ თავის სიტყვას!

ასეთის თქმულებას რომლიდანაც სჩანს, თუ რისთვის ამშეყენებს ვეელა ამ ძველ მოხროვებულ კედლებს და ბადებს ვირის განადგურებელი სახე. თქმულება კარგა გვიმარტავს, თუ რატომ იყო ამოდენა საუკუნოების განმავლობაში მეფის კაბინეტის მოავარ მინისტრად, როგორც ესხა არის ხოლმე უმეტეს თანამედროვე კაბინეტებში, ვირი. ამასთანავე ამსაც გვიხსნის, თუ რათ იწუობოდა ხსენებულ პატარა სამეფოში მრავალ საუკუნის განმავლობაში ყოველი დიდებული პოემა, ყოველი დიდებული სიტყვა, ყოველი დიდებული სიტყვა, ყოველი დი-

დებული წიგნი, ყოველი საზოგადო ზეიმი და მეფის მოწოდება კასაცარი ვირული „უუუ...ა, უუუ...ა“-თი.

ირ. სონღულაშვილი.



თანამედროვე კარბადინი


III

თუ შენ, ჩემო მეგობარო იმითი ხარ ავათა, რომ ძილი არ გეკარება მუდამ; სულ ერთთავათა: — უნდა ქართულ თეატრში წახვიდე ძილ-გამფრთხალი და კარგად მოისმინო პიესები ახალი!..

IV

თუ გსურს იყვე სტუდენტი, რომ ქვეყანა აიკლო, რომ ღვინო და ქალები არასოდეს დაიკლო: — სამშობლოდან ოდესას უნდა გადაიხვეწო და „რესტორან-ბუფეტი“, ლოთიანად მიღეწო!..

ფირუზა.



შემდეგი ნომერი გამოვა 1 იანვარს.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

გ ა ნ ც უ ა დ ე ბ ა ნ ი

ს ე ს ი ლ ე ბ ი ს გ ა ს ს ვ ლ ა

ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

შ ე ბ ი რ ღ ე ბ ი ს მ ი ლ ე ბ ა .

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.

Тифлисъ питомникъ С. С. Хетагури.

1894 წლიდან

1913 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ ვ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ს ე თ ი“-სა

ბელეფონი:
№ 73 და 3-51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.